შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
ბრძანება 01-03/24

ქ. ბათუმი

25.03.2024

## შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის ინკლუზიური განათლების დებულების დამტკიცების შესახებ

თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის ინკლუზიური განათლების დებულება დანართი 1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს, საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერს, მოახდინოს ამ ბრძანების 1-ელი პუნქტის შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30)

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის

გენერალური დირექტორი

ნინო ჩიკვაშვილი

დამტკიცებულია: შპს ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის
2024 წლის 25 მარტი №01-03/24 ბრძანებით

# ინკლუზიური განათლების დებულება

## სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები

-2024-

## მუხლი 1.ზოგადი დებულება

წინამდებარე დებულება შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში. დებულება განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ცნებას. ადგენს სკოლაში მათი მიღების პროცედურას, ხელს უწყობს მოსწავლისთვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას.
სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა ბავშვი სავალდებულო განათლებით და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში. ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკა უნდა გადაისინჯოს და საჭიროებისამებრ შესწორდეს ყოველწლიურად.

### ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები:

- ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან;

## მუხლი 2. მოსწავლის შეზღუდული შესაძლებლობის განმარტება:

1.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში

## მუხლი 3. სკოლის უფლება-ვალდებულებები:

სკოლა უფლებამოსილია გაითვალისწინოს ინკლუზიური განათლების აუცილებლობა და ასეთი მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში საკუთარი ყოველწლიური ბიუჯეტიდან გამოყოს გარკვეული თანხა აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის მიღება:

1. ინკლუზიური განათლების მიზანია უზრუნველყოს ყველა ბავშვი სასკოლო განათლებით, აქედან გამომდინარე სკოლა უფლებამოსილია მიიღოს ყველა მსურველი არ უთხრას უარი ბავშვს სკოლაში მიღებაზე .
2. სკოლის ადმინისტრაცია, მშობლის მიერ, წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიღების შესახებ, რათა, შესაძლებელი გახდეს ამ ბავშვის საჭიროების გათვალისწინება;
3. სკოლაში შესვლისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი შეფასებული უნდა იყოს, მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალისტების მიერ, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროება და რეკომენდაციები სასკოლო გარემოს მოსაწყობად;
4.თუ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასება, მაშინ სკოლამ უნდა მოიწვიოს სპეციალისტები მოსწავლესთან სამუშაოდ.
5.თუ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან აუცილებელია რომ სკოლა, სადაც სწავლობდა მოსწავლე, გაატანოს სრული ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ, რათა მოხდეს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
6. მოსწავლის ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლისას სკოლებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი თანმდევ პროცედურას.

## მუხლი 4. მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირება

1. იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში) და სპეც პედაგოგს, სკოლის ფსიქოლოგს და სკოლის დირექტორს.
2. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ამ ინფორმციის მიწოდებას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელისთვის და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას.
3. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში, მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

## მუხლი 5. მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა

1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები საგნის მასწავლებლებთან/კლასის დამრიგებელთან ერთად მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აფასებენ მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, აკადემიურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს წარუდგენენ მასწავლებელს/მასწავლებლების, სკოლის დირექტორს და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლს

2. მოსწავლის კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი/მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ვალდებული არიან, შეასრულონ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტების რეკომენდაციები. ასევე, აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრონ და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით.

3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, მიუხედავად სკოლის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებისა ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან 2 თვის განმავლობაში, სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება;

ბ) იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით

4.კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს წერილობითი ფორმით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით.

5.იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ არ არის თანახმა შედგეს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, ის სკოლის დირექტორს მიმართავს განცხადებით, რომელშიც ხელმოწერით ადასტურებს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლის/სწავლების შედეგებზე.

6. თუ მოსწავლე კვლავ ავლენს სიძნელეს სწავლასთან დაკავშირებით, რაც მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს, სკოლა გონივრულ ვადებში განმეორებით იღებს ზომებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად.

7.იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლოსაჭიროების შეფასების, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით.

## მუხლი 6. სასკოლო გარემოს მოწყობა:

1. სკოლა, ყველა შესაძლებლობით ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სკოლაში სწავლების ხელმისაწვდომობას, რომელიც გამოიხატება ფიზიკური გარემოს, მოდიფიცირებული პროგარმებით, სწავლის მეთოდებითა და კვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფაში.
2. აუცილებელია დადგინდეს თუ რა სახის შეზღუდულობასთან გვაქვს საქმე და ამის მიხედვით მოხდეს ადექვატური გარემოს უზრუნვეყოფა;
3. თუ ბავშვს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი, მაშინ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ადაპტირება რაც გამოიხატება პანდუსების არსებობის, სველიწერტილების მოწყობით, შესაბამისი მერხის და სხვა ინვენტარით აღჭურვით.
4. თუ ბავშვს არა აქვს მეტყველების, სმენის და მხედველობის უნარი სკოლა მშობელთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტის დაქირავებას, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სწავლის პროცესში, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლის ბრაილის სასკოლო მოწყობილობით;
5. თუ ბავშვს შეზღუდული აქვს გონებრივი შესაძლებლობები, სკოლა მშობელთან ერთად გამონახავს შესაძლებლობას დაიქირაოს კორექციული პედაგოგი, რომელიც მოსწავლისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.
6.თუ მოსწავლეს შეზღუდული აქვს როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი შესაძლებლობები, ხდება ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრა და იმის მიხედვით ადექვატური გარემოს შექმნა;
7. საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის დგინდება ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი ან იგი გადის ინტენსიური დახმარების პროგრამას მცირეწლოვან ჯგუფებში
8. სკოლა უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის სპეციალური ოთახის მოწყობას, სადაც სპეციალისტებს მიეცემათ საშუალება იმუშაონ ინდივიდუალურად მცირე ჯგუფში;
9. სკოლაში არსებობს სპეციალური ინვენტარი, რომელიც ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს ძირითადი საკითხების სწავლაში ( კითხვა, თვლა, ვიზუალური ან ხმოვანი აღქმა და ა.შ.);

## მუხლი 7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შეფასება:

1. სკოლა აფასებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოასწავლეს მისი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
2. თუ მოსწავლეს შეზღუდული აქვს გონებრივი მდგომარეობა, მაშინ იგი ფასდება ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მისი

განვითარების დინამიკაზე, რათა მოხდეს ინდივიდუალური პროგრამის მორგება მის შესაძლებლობაზე.
3. ათვლის წერტილად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომელიც მას ჰქონდა სკოლაში ჩარიცხვის მომენტისთვის.

**მუხლი 8.ინკლუზიური განათლების მართვა:**

**სკოლის დირექტორი:**
1. მონაწილეობს ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაში და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას
2.აკონტროლებს სკოლის მიერ ინკლუზიურ განათლებასთან დახარჯული ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;
3. შუამდგომლობს სკოლა სხვადასხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ასევე კერძო პირებთან, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით;
4. ზედამხედველობას უწევს ადაპტირებული სასკოლო გარემოს შექმნას:
- უზრუნველყოფს შესაბამისი პირობების შექმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლისთვის;
- უზრუნველყოფს პედაგოგების გათვითცნობიერებას ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შესაქმნელად.
- ადგენს ბიუჯეტს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი პირობების გათვალისწინებით (სასკოლო გარემო, ტრენინგები, კორექციული პედაგოგი მასწავლებლების, ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და სხვა აუცილებელი დამხმარე პერსონალის ხელფასი);
- ზედამხედველობას უწევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის სწავლის პირებს, ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და მასწავლებლების მუშაობას;
- უზრუნველყოფს სკოლას ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი კადრებით (კორექციული პედაგოგი, დამხმარე პედაგოგი ან სხვა.);
- გამოყოფს სპეციალურ ოთახს, სადაც სპეციალისტები იმუშავებენ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში;
- უზრუნველყოფს სკოლის აღჭურვას ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი სასკოლო ინვენტარით;

**ინკლუზიური განათლების კოორდინატორი სკოლაში:**
1. სკოლა ირჩევს ინკლუზიური განათლების კოორდინატორს;
2. კოორდინატორი სარგებლობს სკოლის დირექტორის და კოლეგების მხარდაჭერით და შეიმუშავებს გზებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გადასალახად;
3. კოორდინატორი კოლეგებთან და სპეციალისტებთან ერთად აფასებს და აანალიზებს მოსწავლეების საჭიროებებს, შეიმუშავებს მოქმედების გეგმას, წერს ანგარიშს მოსწავლის განვითარების დინამიკაზე;

4.კოორდინატორი კოლეგებთან ერთად მონაწილეობს მოდიფიცირებული პროგრამის შედგენაში.
5. კოორდინატორი ესწრება გაკვეთილებს და ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს სწავლის პროცესში;
6 კოორდინატორი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას დანარჩენ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში;
7. კოორდინატორი აწვდის დირექტორს წინადადებებს, ბიუჯეტის შედგენის დროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის საჭიროების გასათვალისწინებლად

**კოორდინატორი პასუხისმგებელია:**

1. ინკლუზიური განათლების ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაზე
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მშობელთა ეფექტურ თანამშრომლობაზე
3.. თანატოლების სწორ ურთიერთობებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლესთან
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მიღწევებზე

**კლასის დამრიგებელი:**

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლისთვის ქმნის კეთილგანწყობის გარემოს
2. აღრიცხავს და ზედამხედველობას უწევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მოსწრებას და განვითარების პროგრესს;
3. თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მშობელთან, აწვდის ყველანაირ ინფორმაციას ბავშვის შესახებ
4.. ზედამხედველობას უწევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ურთიერთობას თანატოლებთან
5. ახდენს მოსწავლის პრობლემის ინდენტიფიცირებას და აწვდის ინფორმაციას სკოლის და ინკლუზიური განათლების კოორდინატორს.

**მშობლის ვალდებულებები:**

1. მშობელი ვალდებულია, ერთი თვით ადრე, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვის სკოლაში შეყვანამდე, შეატყობინოს სკოლის დირექციას აღნიშნულის შესახებ;
2 მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო გარემოს მოწყობაში და მჭიდროდ თანამშრომლობდეს კლასის დამრიგებელთან, ინკლუზიური განათლების კოორდინატორთან და სკოლის დირექტორთან

**სპეციალური მასწავლებელი:**

სპეც. მასწავლებელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საგნის მასწავლებლებს სსსმ მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში და სსსმ მოსწავლის სენსომოტორულ, კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაში

სპეც .მასწავლებლის ფუნქციაა:

1. ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას;
2. დაეხმაროს საგნის მასწავლებლებს, როგორც სსსმ მოსწავლის კლასში ქცევის, ასევე, ზოგადად კლასის მართვაში;
3. დაეხმაროს და ასწავლოს კომუნიკაციის სირთულეების მქონე სსსმ მოსწავლეს კომუნიკაციის დამხმარე ან ალტერნატიული საშუალებებთ ურთიერთობა და სწავლის პროცესში მათი გამოყენება.
4. დაეხმაროს საგნის მასწავლებელს/ებს, მშობლებსა და სხვა სპეციალისტებს, გამოიყენონ კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიები იმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რომელთაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ;
5. დაეხმაროს სსსმ მოსწავლეს სასწავლო პროგრამის ათვისებაში, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაში; მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში.
6. სპეციალური მასწავლებელი ბავშვთან, მშობელთან, აღმზრდელთან მუშაობის პროცესში იყენებს დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპებს და უსაბუთებს მათ ამ მიდგომის უპირატესობას;

ფსიქოლოგი

ფსიქოლოგის ფუნქციაა:

1. გამოავლენს მოსწავლეების ემოციურ და ქცევით საჭიროებებს და ხელს უწყობს მათი კომუნიკაციური და სოციალური უნარების ამაღლებას;
2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ზრუნავს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე;
3. იღებს და ამუშავებს ინფორმაციას მოსწავლეთა პროგრესის შესახებ; იკვლევს დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზებს და გეგმავს საჭირო ჩარევას;
4. ზრუნავს მოსწავლეთა და პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე;
5. ახორციელებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს
6. ბულინგის, ძალადობის სხვა ფორმების და კონფლიქტური სიტუაციების პრევენციის მიზნით, დირექტორთან შეთანხმებით გეგმავს და ახორციელებს საჭირო აქტივობებს;
7. აწვდის მშობლებს ინფორმაციას შვილების ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებზე, იღებს მათგან უკუკავშირს და ადგენს ერთობლივი ჩარევის გეგმას
8. მონაწილეობს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების გამოვლენაში, ინდივიდუალური გეგმების შედგენაში და მის შემდგომ განხორციელებაში;

9. ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას, ფსიქოლოგიურ კონსულტირებას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას;
10. რეგულარულად ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ საუბრებს სკოლის მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან;
11. ახორციელებს ფსიქოკორექციულ და ფსიქოთერაპიულ მუშაობას შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლეებთან;
12. ინდივიდუალურად მუშაობს სკოლის ახალ მოსწავლესთან და ჯგუფთან, მოსწავლის ჰარმონიული ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით;

## მუხლი 9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართება დეტალური შეფასებისთვის ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
5. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
7. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

- სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;

- დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- )დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
- სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
9. ისგ-ს შეხვედრები მოეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს; ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა;ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და და ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

**დანართები:**

ისგ ფორმა ნიმუში